თიბისი ბანკი

ტენდერი ავტომობილების რეცხვისა და ქიმ-წმენდის მომსახურების შესყიდვაზე 2 წლის ვადით

სატენდერო დოკუმენტაცია



სს "თიბისი ბანკი" აცხადებს ტენდერს ავტომობილების რეცხვა და ქიმ-წმენდის მომსახურების შესყიდვაზე. დაინტერესებულმა პირებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ შესყიდვების ელექტრონული სისტემის - www.tenders.ge საშუალებით.

ტენდერის მიზანია გამოავლინოს პრეტენდენტები რომლებიც დაინტერესებულები არიან ბანკთან თანამშრომლობით. შერჩეულ კომპანიასთან გაფორმდება მომსახურების ჩარჩო ხელშეკრულება ორი წლის ვადით (საცდელი 3 თვიანი პერიოდით).

მომსახურების აღწერა:

მომსახურების ფარგლებში უნდა განხორციელდეს ბანკის საკუთრებაში არსებული ავტომობილების რეცხვა (საშუალოდ თვეში 4-ჯერ) და ქიმ-წმენდა (საშუალოდ წელიწადში 1-ჯერ).

- მომსახურება მიღება უნდა განხორციელდეს ელ ბარათების საშუალებით (ბარათები უნდა იმართებოდეს ელექტრონულად);
- მომსახურების მიღება უნდა განხორციელდეს ურიგოდ, მანქანის დაყოვნების და მოცდის გარეშე;
- მომსახურება უნდა შესრულდეს მაღალი ხარისხის სარეცხი და საწმენდი საშუალებებით;
- მომწოდებელმა მომსახურება უნდა უზრუნველყოს შემდეგ ქალაქებში:

ქალაქების განშლადობა აუცილებელი მოთხოვნა	
	თბილისი - მინ. 2 სამრეცხაო; ამბროლაური ბათუმი ბორჯომი გორი ზესტაფონი ზუგდიდი თბილისი თელავი მარნეული რუსთავი სენაკი სიღნაღი ფოთი ქუთაისი ხონი

„თიბისი ბანკი"

ავტოპარკი:

- ჯიპი - 39 ერთეული

- სედანი/ჰეჩბექი - 82 ერთეული
- სატვირთო მარშუტკა - 25 ერთეული

1 წლის ჭრილში საშუალო რეცხვის და ქიმწმენდის ჯამური რაოდენობა (2 წლიანი კონტრაქტის პერიოდში შესაძლებელი უნდა იყოს 20%-ით ზრდა ან შემცირება, პირობების უცვლელად):

ჯიპი	
რეცხვა	1872
ქიმწმენდა	39
მსუბუქი	
რეცხვა	3936
ქიმწმენდა	82
სატვირთო მარშუტკა	
რეცხვა	1200
ქიმწმენდა	25

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

- შესაბამის სფეროში მოღვაწეობის მინ 2 წლიანი გამოცდილება;
- კორპორატიული კლიენტების მომსახურების გამოცდილება;
- ყველა საჭირო ინვენტარის და საშუალებების არსებობა, კომპანიის ბალანსზე;

მონაწილეობის პირობები

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა საჭიროა სისტემაში ატვირთოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შემდეგი დოკუმენტაცია:

- ***დანართი N1*** *- ფასთა ცხრილი და რეკვიზიტები;*
  - *ლარში, კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;*
- ***დანართი N2*** *- სამრეცხაოების ჩამონათვალი;*
- ***დანართი N3 -*** *ინფორმაცია ანალოგიური მომსახურეობის შესახებ;*
- ***დანართი N4*** *- აფიდავიტი;*
- ***დანართი N5*** *– KYP;*

წინადადებების ატვირთვა შესაძლებელია 02.07.2025წ. 12:00 საათიდან 16:00 საათამდე.

ტექნიკური ხასიათის კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით:
არჩილ მინდიაშვილი 599 303 418 amindiashvili@tbcbank.ge

სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებით:
ვახტანგ ქიტუაშვილი 599 88 45 30 Vkituashvili@Tbcbank.com.ge

ტენდერის შემდგომ დაზუსტების მიზნით მოწოდებული ყველა ტიპის ინფორმაცია (მათ შორის ელექტრონული სახით) ითვლება წინადადების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად.

- ფასები დაფიქსირებული უნდა იყოს ლარში, დღგ-ს ჩათვლით;
- წარმოდგენილი დანართები უნდა იყოს სრულად შევსებული, უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ბეჭდით დამოწმებული, PDF ფორმატში;
- გამარჯვებული გამოვლინდება საუკეთესო ჯამური ფასის გათვალისწინებით, სატენდერო დოკუმენტაციაში გამოცხადებული აუცილებელი მოთხოვნების დაცვით.
- გამარჯვებული ვალდებულია ანგარშსწორებისთვის წარადგინოს თიბისი ბანკის საბანკო რეკვიზიტები.
- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ელ. ფოსტით, მისამართზე Procurement@Tbcbank.com.ge
- ბანკის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში (მხოლოდ ერთი სატენდერო განაცხადი და ა.შ.), რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე;

გისურვებთ წარმატებას.